ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №366335

ნომერი: AR181560

თარიღი : 19.09.2012

გაცემის თარიღი : 25.09.2012

გაცნობის თარიღი : 10.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , N 34 , (ნაკვეთი N1/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ხვედელიძე პ/ნ 01015014539
- თბილისი კრწანისის ქ. N 16 კორ. 3 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოგი სულაბერიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017039780
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სტივენ ბოდინ ჯონსონი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203834921
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ბეტსი"

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N6/841-1
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 18.04.2011

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებასა და N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 18 აპრილს შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), მაყაშვილის ქ. N34–ში (ნაკვ. N1/37) შ.პ.ს. "ბეტსი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული სასტუმროს რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენებით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა 18.04.11 წლის N841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2011 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

2011 წლის 6 ოქტომბრის N12/132232–13 განცხადების საფუძველზე (განმცხადებელი: შ.პ.ს. "ბეტსი"–ს წარმომადგენელი ი. ხვედელიძე) მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით შევიდა ცვლილება სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებასა და N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და მშენებლობის დასრულების თარიღი განისაზღვრა "24 ოქტომბერი, 2012წ."

2012 წლის 19 სექტემბერს NAR181560 განაცხადით მოგვმართა შ.პ.ს. "ბეტსი"–ს წარმომადგენელმა ი. ხვედელიძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებასა და N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებასა და N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2011 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებას, N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასა და 2011 წლის 19 ოქტომბრის N4228 ბრძნებასთან ერთად;

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.